

დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯის

2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში, შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა აღნიშნული პერიოდისათვის გაწერილი მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

მიზნების შესაბამისად დაიგეგმა და განხორციელდა რიგი აქტივობებისა, რომელთა შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია აღნიშნულ დოკუმენტში.

2016-2017 წლის განმავლობაში, სხვა მიზნებსა და ამოცანებთან ერთად, კოლეჯის ერთერთ მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების შესახებ სახელმწიფო რეფორმის ცნობადობის ამაღლებისა და პრაქტიკოსი ექთნის, როგორც პროფესიის, პოპულარიზაცია.

აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით, სწავლის პროცესში ჩართულები იყვნენ პრაქტიკოსი ექთნები, რომლებიც სტუდენტების არა მარტო თეორიული საკითხების, არამედ საექთნო პროფესიის პრაქტიკული ასპექტების სწავლებას უზრუნველყოფდნენ. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლეოდათ საშუალება მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2016 წ 23 დეკემბერს ქ. თბილისში მოხდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სტუდენტებთან და პედაგოგებთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა. მოთხოვნის თანახმად, სასწავლებლიდან შეხვედრას დაესწრო პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ორი საუკეთესო სტუდენტი (ხმალაძე, მეგრელიშვილი) და დეკანი- თამარ დაუსი.

გარდა ამისა, სტუდენტები ესწრებოდნენ სამედიცინო კორპორაცია ევექსის მიერ ორგანიზებულ ექთანთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას სადაც მოხდა მათი გაცნობდა კოლეჯა ექთნებთან და მათ საქმიანობასთან. ღონისძიების ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ საშუალება პრაქტიკულად ენახათ თუ რა როლი აქვთ ორგანიზაციის წარმატებაში სამედიცინო მომსახურების ამ რგოლს.

2016-2017 წლის განმავლობაში, კოლეჯის ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობდა სწავლების ხარისხის გაზრდასა და მის შენარჩუნებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამ ამოცანის შესრულების მიზნით, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნა მოტივაციის სქემები, როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების წახალისების, ისე ლექციებსა და პრაქტიკულეზზე მაღალი დასწრების უზრუნველყოფის მიზნით. შედეგად, 33 სტუდენტიდან, რომელიც 2017 წლის ოქტომბრის მონაცემებით ირიცხებოდა კოლეჯში, 30 შეძლო დასაქმება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში.

გარდა უშუალოდ აკადემიური მოსწრებისა, 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც მათი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და როლის გაზრდას ისახავდა მიზნად. შედეგად დაიგეგმა, რამდენიმე საქველმოქმედო აქცია, რომელიც ფარგლებში ექთნები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა დაავადებებით დაავადებული ადამიანებისთვის მატერიალური რესურსების მობილიზების აქტივობებში. ინფორმაცია აღნიშნული აქტივობების შესახებ განთავსდა სოციალურ ქსელსა და კოლეჯის ვებ გვერდზე.

2016-2017 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო სტუდენტების დახმარებისთვის სხვა და სხვა სერვისების შექმნა სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებაზე ორიენტაციით. შედეგად კოლეჯი აღნიშნული აქტივობის წახალისებისთვის ცდილობდა აქტიურად დაენერგა ტუტორების ინსტიტუტი, რაც მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების მიერ მომავალი კოლეჯების დახმარებას გულისხმობს აკადემიური წარმატებების მიღწევის მიზნით. აღნიშნული აქტივობა მეტად ღირებული გახდება ახალი ნაკადის მიღების შემდეგ, რაც საშუალებას მოგვცემს პირველი კურსელების აკადემიური სიძნელეების დაძლევის პროცესში აქტიურად ჩავართოთ მეორე კურსის სტუდენტებიც.

2016-2017 აკადემიური წლის განმავლობაში კოლეჯის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა **სტუდენტებისათვის გაცნობითი ხასიათის შეხვედრების ორგანიზება, როგორც უშუალოდ კლინიკებში ისე ყველა დამხმარე სტრუქტურებში** მათ შორის კლინიკურ ლაბორატორიებში. შედეგად 2016-2017 წლის განმავლობაში სტუდენტები რეგულარულად დადიოდნენ პარტნიორ კლინიკებში სადაც ესწრებოდნენ და აკვირდებოდნენ კლინიკურ პროცესებს და იღებდნენ პრაქტიკულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

სტუდენტებისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემოსა და მაღალ ხარისხიანი აკადემიური პროცესის ხელშეწყობის გარდა, კოლეჯის ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ზრუნავდა **პედაგოგებისათვის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული სპეციფიკის დანერგვისა და იმპლემენტაციის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრებსა და მოკლე ვადიანი სასწავლო/ტრენინგებზე დასწრებასა და პედაგოგებისა და ადმინისტრაციული რესურსის ჩართულობაზე სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ სამუშაო შეხვედრებში, შემუშავებული რეკომენდაციების ყოველდღიურ საქმიანობაში გატარებისა და სიახლეების დანერგვაზე.** კოლეჯის აკადემიური პერსონალი რეგულარულად ესწრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე მას დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და სემინარებს. ხოლო, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების დისემინაცია, რეგულარულად მიმდინარეობდა კოლეჯის შიგნით.

კოლეჯის ადმინისტრაცია, მთელი წლის განმავლობაში, რეგულარულად ახდენდა ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების რევიზირებას, მათ საქმიანობის გაუმჯობესების და ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე მუდმივი მონიტორინგის მიზნით. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო, როგორც კოლეჯის რესურსი ასევე ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მოვლენილი ექსპერტები.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მიზნებისა და ამოცანების შესრულება მიმდინარეობდა კეთილმოწყობილ და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებში, რამაც საშუალება მოგვცა კოლეჯის 2016-2017 წლის განმავლობაში, უხარვეზოდ წარმართულიყო. კოლეჯის კომპიუტერული ბაზის, ინტერ- და ინტრანეტის მეშვეობით უზრუნველყოფილი იყო კომპიუტერული და ქსელური ინფრასტრუქტურა, რომელიც სწავლებისთვის და ადმინისტრირებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სრული ექსპლუატაციის შესაძლებლობას იძლეოდა.

ანგარიში მომზადებულია დავით ტვილდიანის

სახელობის საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მიერ,

რასაც ვადასტურებ ხელმოწერით: /ე. აბუანდამე/

